ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №1105

10 თებერვალი 2017 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის შესაბამისად, ასევე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2017 წლის 27 იანვრის №904-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი რუსთავი, ბოსტან ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

	დანართი №1										
ლოტის N	საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	ფუნქციური ზონები	ს/კოდი	მდებარეობა / მისამართი	ფართობი (კვ.მ.) სიგრძე (მეტრი)	აუდიტის მიერ განსაზღვრული საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)	30%, ბე-ს ოდენობა (ლარი)	5%, ბიჯი-ს ოდენობა (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო ან პირობებიანი)	შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის პერიოდი	შენიშვნა
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობები N1, N2, N3	ს-1; სსზ-4	02.07.04.001	ქალაქი რუსთავი , ქუჩა გაგარინი, N 8	8082 კვ/მ მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები: N1 (ერთსართულიანი) განაშენიანების ფართობით - 3925.21 კვ/მ; N2 (ერთსართულიანი) განაშენიანების ფართობით - 653.86 კვ/მ; N3 (სამსართულიანი) განაშენიანების ფართობით - 557.76 კვ/მ	362500	108750	18125	საკუთრების მოწმობის აღებიდან 3 (სამი) წლის ვადაში შესყიდულ უძრავ ქონებაზე განხორციელდეს: 1. შენობების რეაბილიტაცია; 2. 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ინვესტიცია და აღნიშნული მყიდველმა დაადასტუროს აკრედიტებული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენით; 3. მინიმუმ 30 მოქალაქის დასაქმება; 4. აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში წარადგინოს საინვესტიციო ვალდებულებების 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომელიც 4 თვით უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში	საჭიროების შემთხვევაში, შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში მყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მათ გადატანას